7836/3-62/22 2 29082022

7836/3-62/22
29-08-2022

იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

2022 წლის 23 აგვისტოს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის სოსო გოგაშვილის განთავსების ადგილას, კერძოდ N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მწყობრიდან იყო გამოსული ჩამწერი მოწყობილობები, რის გამოც, ვიდეოჩანაწერების დაარქივება ვერ შესრულდა. გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე გვაცნობოთ რა ინფორმაციას ფლობთ ამ საკითხთან დაკავშირებით და თუ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, გთხოვთ, დეტალურად გვითხრათ რა მიზეზით არ არის სოსო გოგაშვილთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერი დაარქივებული.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
პაატა მანჯგალაძე